საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს
გენერალურ დირექტორს, ბატონ ნიკოლოზ აზნაურაშვილს

ბატონო ნიკოლოზ,

როგორც მოგეხსენებათ, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - გელათის ,,ღვთისმშობლის შობის“ სახ. ტაძრის დასავლეთ მკლავის კედლის მოხატულობაზე, იტალიელი სპეციალისტების მარიო პულიერისა და ვინჩენცო ჩენტანის ხელმძღვანელობით, 2021 წელს ჩატარდა კედლის მხატვრობაზე კვლევითი და გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები. 2022 წლის 26 მაისიდან იტალიელ რესტავრატორ მარკო პულიერთან ერთად გაგრძელდა სამუშაოები ტაძრის დასავლეთ მკლავის კედლის მოხატულობაზე - კერძოდ კამარის მხატვრობაზე. ამ სამუშაოებში ჩართულნი ვიყავით ქართველი სპეციალისტებიც.

ასევე, 2022 წლის 03 მაისიდან, მიმდინარეობს ღვთისმშობლის შობის ტაძრის, ჰიგირომეტრიული მდგომარეობის შესახებ მიკროკლიმატოლოგთა ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე, დასავლეთ მკლავზე დროებითი სახურავის კონსტრუქციის დამზადების და მოწყობის, ძველი დროებითი სახურავის მოხსნის, ახალ კონსტრუქციაზე დროებითი საფარის მოწყობისა და ამჟამინდელი კრამიტის საფარის სისტემის მოხსნის სამუშაოები, რა პერიოდშიც 2022 წლის 04 მაისის N1-102-22, N1-103-22, N1-104-22, N1-105-22 და N1-106-22 ხელშეკრულებების ფარგლებში, ჩვენი ჯგუფის წევრები მიერ (მერაბ ბუჩუკური, ზაზა სუმბაძე, ნიკოლოზ კიკნაძე, ირაკლი ჭეიშვილი, გია გასიტაშვილი) მიმდინარეობდა ყოველდღიური მონიტორინგი, რათა დაგვედგინა ,,ღვთისმშობლის შობის“ სახ. ტაძრის დასავლეთ მკლავის სახურავზე მიმდინარე სამუშაოებს ხომ არ ქონდა უარყოფითი ზეგავლენა დასავლეთი მკლავის კამარის კედლის მხატვრობაზე. ასევე ვაკვირდებოდით კამარის მოხატულობაზე კედლის გამოშრობის პროცესს

დასავლეთ მკლავის სახურავზე მიმდინარე სამუშაოების ფარგლებში გულდასმით იქნა შემოწმებული კედლის მხატვრობის ყველა ის ფრაგმენტი რომელზეც იქნა ჩატარებული საკონსერვაციო სამუშაოები. გვინდა აღვნიშნოთ, რომ კედლის მხატვრობის აღნიშნულ ფრაგმენტებზე მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და სახურავზე მიმდინარე სამუშაოებს მხატვრობაზე ზეგავლენა არ მოუხდენია.

ძალზე მნიშვნელოვანი იყო მონიტორინგი ჩაგვეტარებინა კედლისა და მოხატულობიანი შელესილობის გამოშრობის პროცესებზე. მხატვრობის გარკვეულ მცირე მონაკვეთებზე გამოვლინდა მარილების გააქტიურება, ფიფქისებრი მარილების სახით. ასევე მოხატულობის რამდენიმე მცირე მონაკვეთზე შემჩნეულ იქნა საღებავის მცირედი აქერცვლა (პროცესები დაფიქსირებულია ფოტო დოკუმენტის სახით). აღნიშნული პროცესი არ წარმოადგენს მოულოდნელობას, რადგანაც წინასწარ ცნობილი იყო, რომ

შემოსული N: 2/2335
08 07 2022
სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

სახურავიდან ჩამონადენი წყლის შედეგად შემორჩენილი სინესტე ბოლომდე არ იყო ლიკვიდირებული და დიდი ალბათობით მოსალოდნელი იყო გარკვეულ მონაკვეთებზე ფიფქისებური მარილების წარმოქმნა და საღებავის მცირედი აქერცვლა.

კედლის მხატვრობის ზედაპირზე ფიფქებად გამოსული მარილები უკიდურესი სიფრთხილით გაიწმინდა რბილი ფუნჯით.

საღებავის აქერცლილი ფენა გამაგრდა შემდეგი თანმიმდევრობით: საღებავის ამობურცული ნაწილები პირვანდელ ადგილას მიმაგრდა იაპონური ქაღალდის ზემოდან მიფარებითა და დეიონიზირებული წყლიანი ფუნჯის თანდათანობითი ზეწოლით, შემდეგ იაპონური ქაღალდით მიუთოვებული საღებავის ზედაპირი, შელესილობის საფუძველზე მიწებდა დეიონიზირებული წყლის ნარევისა და აკრილის ფისის (33/EA – MMA) 3% - იანი ნაზავის გამოყენებით. პროცესის დამთავრების შემდეგ საღებავის მიწებებული ფენიდან, დეიონიზირებული წყლის დახმარებით და უკიდურესი სიფრთხილით მოიხსნა იაპონური ქაღალდი.

ამ ეტაპისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები სრულადაა შესრულებული.

ქართველ მხატვარ -რესტავრატორთა ჯგუფის ხელმძღვანელი

მერაბ ბუჩუკური

08. 07. 2022 წ.